პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 აგვისტო კვირა 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 185 (14789)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი საპალდებულოა ყველასათვის

საბჭოთა კანონი ადამიანის მეგობარია, იგი იცავს ხალხის, სახელმწიფოს ინტერესებს. ჩვენი ადამიანები მთელი სისრულით იყენებენ კანონით მინიჭებულ ფართო უფლებებს, ნებაყოფლობით, შეგნებულად ასრულებენ თავიანთ სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს წარმატებებში, ქვეყნის ეკონომიური აღმავლობისა და ადამიანების საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის განუზომელი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ განხორციელებას. ჩვენი საზოგადოების პროგრესის მძლავრი ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მთელი მისი ორგანიზმის ცხოველუნარიანობას, საბჭოთა კანონებია. გამოხატავენ რა ხალხის ნებას და პარტიის პოლიტიკას, ისინი განასახიერებენ სოციალიზმის მონაპოვრებს, საიმედოდ იცავენ სახელმწიფოს ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებს.

საბჭოთა კანონების მტკიცედ და განუხრელად შესრულება მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენტების ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმად, უპირველეს საზოგადოებრივ მოვალეობად გადაიქცა. ახლა საბჭოთა ადამიანები არა მარტო თვითონ ახორციელებენ კანონის მოთხოვნებს, არამედ მკაცრადაც ადევნებენ თვალყურს მათს შესრულებას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ცალკეული მოქალაქენი, რომლებიც არღვევენ კანონებს, განუხრელად არ იცავენ სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებსა და წესებს, დაუდევრად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, არღვევენ სახელმწიფო და შრომითს დისციპლინას, წესრიგს ქალაქებში, სოფლებში, ქუჩებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. გვხვდებიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის თავის ამრიდებლები, სახალხო ქონების დამტაცებლები, ხულიგნები.

კომუნისტური პარტია, ჩვენი ხალხი, საბჭოთა კანონები ვერ შეურიგდებიან საზოგადოებისთვის ამ უცხო მოვლენებს, რადგან ჩვენი საზოგადოება არ ქმნის ნიადაგს დამნაშავეობის აღმოცენებისათვის.

ჩვენში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, კანონების მტკიცედ და განუხრელად განხორციელებისათვის. ქალაქებსა და სოფლებში საბჭოთა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, დეპუტატებმა საბჭოთა კანონების უხეშად დარღვევის მრავალი ფაქტი გამოავლინეს. მიღებულ იქნა საჭირო ზომები დამრღვევთა წინააღმდეგ. ამ მხრივ მრავალი კარგი ღონისძიება განახორციელეს ქალაქ თბილისის პარტიულმა, საბჭოთა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. აქ ფართოდ იყენებენ მუშაობაში კანონების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, ამ საქმეში მასების ჩაბმის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს. ყოველივე ამის შედეგად მოპოვებულია ერთგვარი წარმატებები.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია კანონები, რომლებიც აწესრიგებენ საზოგადოებრივი ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან მხარეებს, ეხებიან საბჭოთა ადამიანების ინტერესებს. ახლა მთავარია ყველგან შეიქმნათ კანონის დარღვევის შეუწყნარებლობის კომუნისტური ზნეობის მოთხოვნილებებიდან ყოველგვარი გადახრის შეუწყნარებლობის ვითარება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არის კანონის დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებით ეს იგრძნობა შრომის კანონმდებლობის დაცვის საქმეში. მაგალითად, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ორგანიზაციებში, თბილისის პურის № 2 ქარხანაში, ქუთაისის კვებვაჭრობის სისტემაში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში არის მუშაკთა სამუშაოდან კანონის შეუსაბამო გათავისუფლების, გადაყვანების, ხელფასის არა სწორად დაკავების შემთხვევები.

ყოველად შეუწყნარებელია, როცა ირღვევა კანონი, არ სრულდება მისი მოთხოვნები. ამიტომ განსაკუთრებით საჭიროა ავამაღლოთ თვითეული კოლექტივის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მისმა წევრებმა დაიცვან ჩვენი საერთო ცხოვრების ნორმები და წესები. აქ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კომუნისტთა პირადი მაგალითი და საზოგადოებრივი საქმიანობა. ისინი უნდა გვიჩვენებდნენ სოციალისტური კანონების შესრულების ნიმუშებს, მეტს უნდა ზრუნავდნენ ადამიანების აღზრდისათვის, მართლწესრიგის დარღვევათა პროფილაქტიკისათვის.

ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრიობის სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას ჩვენი მართლწესრიგის განმტკიცებაში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ შეავასუსტოთ ყურადღება მილიციის, საძიებო, საპროკურორო, სასამართლო ორგანოების საქმიანობისადმი. გულმოდგინედ და ყოველმხრივ უნდა სრულვყოფდეთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, განვამტკიცებდეთ მათ განათლებული, პატიოსანი, ყურადღებიანი ადამიანებით, ისეთი კადრებით, რომლებიც პარტიის, ხალხის ნდობისა და პატივისცემის ღირსნი არიან.

საბჭოთა კანონების მტკიცედ გატარების, საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცებისათვის აუცილებელია ავამაღლოთ მასების იურიდიული ცოდნა, საწარმოებში, კოლმეურნეობებში შევქმნათ საკონსულტაციო პუნქტები, მეურნეობის მუშაკებს შევასწავლოთ კანონმდებლობის საფუძვლები, სისტემატურად მოვაწყოთ ლექციები, მოხსენებები, საუბრები კანონის ცხოვრებაში გატარების აქტუალურ საკითხებზე, ისეთ თემებზე, რომლებიც ხალხს აინტერესებს. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ჭიათურაში 186 ლექცია-მოხსენება გაიმართა საბჭოთა სამართლის, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებზე. ამასთან იურიდიულ თემებზე კითხვა-პასუხის საღამოები გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროში, რგანის სასოფლო საბჭოში, № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორაში.

მუშაობის ასეთი პრაქტიკა ამართლებს თავის დანიშნულებას და ფართოდ უნდა გავავრცელოთ. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, რადგან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა გაძლიერეს საბჭოთა კანონების განმარტება, მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის ზრუნვა.

ყოველი პარტიული კომიტეტი მოვალეა გააერთიანოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი ძალები სოციალისტური საერთო ცხოვრების და დისციპლინის დარღვევათა წინააღმდეგ საბრძოლველად, აამაღლოს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობა.

კანონი საპალდებულოა ყველასათვის, მას უნდა ასრულებდეს უკლებლივ ყველა, მიუხედავად მდგომარეობისა, ხარისხისა და რანგისა. სოციალისტური კანონიერება, მართლწესრიგი საზოგადოების, მის მოქალაქეთა ნორმალური ცხოვრების საფუძველია.

9 აგვისტო მშენებლის დღეა



დიდი შრომითი წარმატებებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს თბილისის საერთო-სამშენებლო ტრესტ № 13-ის მშენებლები, რომლებიც ამჟამად საბურთალოს მასივის რაიონში აშენებენ პოლიმერული მასალების ლაბორატორიის შვიდსართულიან შენობას. მშენებელთა შორის შრომითი მიღწევებით გამოირჩევა ახალგაზრდა მეარმატურე ს. ხარაბაძე (სურათზე ზემოთ).

ამალე დამთავრდება „საქქალაქმშენსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის ცხრამეტსართულიანი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა. სამშენებლო მასალად ძირითადად ბაზალტის ქვაა გამოყენებული. სურათზე: (ქვემოთ) — „საქქალაქმშენსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის საერთო ხედი.

ფოტო ბ. ბოგოხიანი და ბ. მოგუნოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ზეიმობენ მშენებლები

მოსკოვი

7 აგვისტოს მოსკოვში „ავშირების სახლის სვერდლოვის დარბაზში გაიმართა მშენებლის დღისადმი მიძღვნილი მოსკოვის საზოგადოებრიობის საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. **პრომისლოვმა.**

კრების მონაწილეებმა პირველი საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება გააკეთა მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა ნ. ვ. **გოლდინმა.**

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკდესის კორ.).

თბილისი

თბილისში ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის საზაფხულო თეატრში 7 აგვისტოს გაიმართა მშენებლის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **შ. დ. კიკნაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე **ი. ი. ქედიშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ე. ბუხრაშვილი,** პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი **გ. ა. ანდრონიკაშვილი,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი **გ. ხ. ვაშაკიძე,** საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი **ს. ხ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი **შ. მ. თათარაშვილი,** საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **ვ. დ. ღოღობერიძე,** პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, მოწინავე მშენებლები.

კრება გახსნა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. გ. ცხოვრებაშვილმა.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახმშენის თავმჯდომარემ **ი. ნ. ციცაშვილმა.**

კრების დასასრულს გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ვაშენოთ მკვიდრად, ლამაზად!..

 დღეს, 9 აგვისტოს ჩვენი სამშობლოს მშრომელები აღნიშნავენ მშენებლის დღეს — ტრადიციულ დღესასწაულს, დაწესებულს მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური და მშვიდობიანი პროფესიის ადამიანთა პატივსაცემად, რომლებიც თავიანთი მოუღლელი მარჯვენით, შეუპოვრობით ქმნიან ახალ ბედნიერ ცხოვრებას, აშენებენ ახალ ქალაქებსა და სოფლებს, იმორჩილებენ მდინარეებს და აიძულებენ მათ ემსახურონ ხალხს, ამოაქვთ საუკუნეობით მიწის წიაღში დფარული ძვირფასი მადნეული, ზღაპრულად აყვავებულ წალოტებად გარდაქმნიან უდაბნოებს, ანგრევენ კლდეებსა და მთებს, აშენებენ ენერგეტიკულ გიგანტებს, ფაბრიკებსა და ქარხნებს, საცხოვრებელ სახლებს, ალამაზებენ და ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითს ცხოვრებისათვის აშზადებენ ჩვენს პლანეტას.

მართებულად ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე დიდ და მძლავრ ახალმშენებლობათა ქვეყანაა. ამჟამად ჩვენი დიდი ქვეყნის მშენებელთა რიგებშია მილიონობით კვალიფიციური მუშა და ასეულ ათასობით ინჟინერი და ტექნიკოსი.

უკანასკნელ ხუთწლედებში სულ უფრო იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა. თუ წინა ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დაფინანსების ყველა წყაროდან კაპიტალურმა დაბანდებებმა 2 მილიარდ 737 მილიონი მანეთი შეადგინა, მარტო მიმდინარე ხუთწლედის ოთხ წელიწადში დაბანდებული და ათვისებულია 3 მილიარდ 338 მილიონი მანეთი, ე. ი. კაპიტალური დაბანდებანი წინა ხუთწლედთან შედარებით 22 პროცენტით გაიზარდა.

ამ თანხებით საქართველოში აიგო ბევრი მნიშვნელოვანი სამრეწველო საწარმო, მეფრინველეობის მსხვილი ფაბრიკები, საცხოვრებელი სახლები. უკანასკნელ წლებში მწყობრში ჩადგა რუსთავის კარბამიდის საწარმო, ჭუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა, ცაიშის, ლიხაურის, ჩიხატაურის, გონიოს, თერჯოლის, ქედის და ვალის ჩაის ფაბრიკები, ოკამის, წითელწყაროს, იყალთოს, ახმეტის ღვინის ქარხნები, ბორჯომის ჩამომსხმელი, ხურამის მინისტრის, თბილისის საფუარის, სამტრედიის პურის, თელავის რკინაბეტონის კონსტრუქციების მექანიზებული ქარხნები და სხვ.

მარტო მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით შენდება 2.000-მდე ობიექტი. წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 122 მილიონი მანეთის სამუშაოები.

უკანასკნელ პერიოდში დიდი უურადღება მიექცა სასოფლო მშენებლობას. ამჟამად საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ერთიანებს 5 ტრესტს, ორმოც საერთო სამშენებლო და სპეციალიზებულ მოძრავ მექანიზებულ კოლონას, 49 საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საბჭოს. მიმდინარე ხუთწლედში სამინისტროს ქვეგანაყოფების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 2,8-ჯერ და მიაღწია 42 მილიონ მანეთს.

აღნიშნულმა სამინისტრომ უკანასკნელ სამ წელიწადში ააშენა და ხელუხლლოდ გადასცა მეფრინველეობის ფაბრიკები 648.500 კვერცხმდებელი ქათმისათვის, საბჭოთა მეურნეობებში, მხხვილეხა რქიანი საქონლისათვის აშენდა 30 ობიექტი, აგრეთვე მწყობრში ჩადგა მელორეობის ფერმები, ცხვრის ფარეხები.

სახე იცვალეს რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებმა. გაჩნდა ახალი საცხოვრებელი უბნები და კვარტალები. დღეისათვის თბილისში ქალაქის ფართობმა 27 ათას ჰექტარს გადააჭარბა, ე. ი. 1921 წელთან შედარებით თითქმის 10-ჯერ გაზარდა. მარტო ხუთწლედის ოთხ წელიწადში საბინაო ფონდს ერთი მილიონი კვადრატული მეტრი ფართობი შეემატა.

ეს დიდი მიღწევები ჩვენი საბჭოთა ხელოვანი მშენებლების მარჯვენის შადლია. რაც გაკეთდა, ეს ზღვარი როდია. მომავალ ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება კაპიტალდაბანდებათა მოცულობა, მშენებლებს მეტი საზრუნავი გაუჩნდებათ.

მომავალ ხუთწლედში მარტო სოფლის მეურნეობისათვის, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აელისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — საწარმოო მშენებლობისა და ტექნიკის შესაძენად, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის უნდა გამოვყოთ 77,6 მილიარდი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, აქედან 45,9 მილიარდი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის. ეს 1,7-ჯერ აღემატება დაბანდებათა მოცულობას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მიმდინარე ხუთწლედში.

კაპიტალური დაბანდებანი ასევე კოლოსალურად გაიზრდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ეს კი ჩვენი მშენებლებისაგან მოითხოვს მეტ ორგანიზებულ შრომას, რათა წარმატებით ავითვისოთ გამოყოფილი თანხები და მწყობრში ჩავაყენოთ ახალ-ახალი ობიექტები, რომლებიც ჩვენი ხალხის კეთილდღეობას მოემსახურება.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა სახელოვნებამ მშენებლებმა ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ბევრი საუურადღებო ობიექტი ჩააყენეს მწყობრში. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლოვანებანი, როგორიც არის სამუშაო დროის დაკარგვის ფაქტები, მექანიზმებისა და ტრანსპორტის არარაციონალურად გამოყენების შემთხვევები. გადაუდებელი ამოცანაა დაუმთავრებელი მშენებლობების მინიმუმამდე შემცირება. დიდ დაბრკოლებებსა ქმნის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის არადროული მიწოდება, ეს ძველი ცოდვაა და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

დღეს მშენებლების გადაუდებელი ამოცანაა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს გეგმით გათვალისწინებული ყველა ობიექტი გადასცეს საექსპლოატაციოდ, ახალი ძალით შეუდგნენ მომავალი ხუთწლედით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობას და ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადონ სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

7 აგვისტოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბარი სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს სატრაქტორო და მოტორსამშენებლო ქარხნების დირექტორებთან, მთავარ კონსტრუქტორებთან და პარტიულ კომიტეტთა მდივნებთან. საუბრების მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულების, ახალი, უფრო მძლავრი ტრაქტორების წარმოების ორგანიზაციის დაჩქარების, ტრაქტორებისა და მათი სათადარიგო ნაწილების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხანგამძლეობის გადიდების შესახებ, რათა კიდევ უფრო სრულად დააკმაყოფილონ სოფლის მეურნეობის მოთხოვნები.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. პ. კირილენკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ო. დ. კულაკოვი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე **ბ. ე. დიმიტიევი,** პარტიის ხარკოვის, ჩელიაბინსკის, პავლოდარის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები — **ბ. ი. ვაშჩენკო, ფ. გ. გოროპაევი, ი. ფ. გუროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები **ვ. ხ. ფროლოვი** და **ი. ნ. დმიტრიევი,** სსრ კავშირის ზოგიერთი მინისტრი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

სრულიად საკავშირო სემინარმა მუშაობა დაამთავრა

ლენინგრადი, 7 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშაობა დამთავრა სრულიად საკავშირო სემინარმა საწარმოო გაერთიანებათა გამოცდილების შესწავლის საკითხებზე.

დილიდანვე სემინარის მონაწილენი ეცნობოდნენ ლენინგრადის ფირმების საქმიანობას. ნაშუადღევს თავრიდის სსახლეში გრძელდებოდა გამოცდილების გაზიარება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ს. მ. ტიხომიროვმა. მსუბუქ მრეწველობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი გაერთიანებანი და წარმოების ეფექტიანობა იყო სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილის ბ. ი. სოლოვიოვის მოხსენების თემა. ნავთობის მრეწველობის მართვის სრულყოფის დარგში მუშაობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ა. მ. ჟდანოვმა.

ᲕᲐᲨᲐ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ᲙᲘᲨᲘᲜᲔᲕᲘ, 7 აგვისტო. (საკდესის კორ.). „მოლდაველთა სტუმართმოყვარეობა სამხრეთის მზეზე უფრო თბილია“, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ქუთაისის კულტურის სახლის ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლის ბალეტმაისტერმა გიორგი ძოწენიძემ.

ქუთაისელთა კოლექტივი დიდი წარმატებით მონაწილეობს ხალხური ცეკვის თვითმოქმედი ანსამბლების მეორე სრულიად საკავშირო ფესტივალში, რომელიც მოლდაველთში მიმდინარეობს.

ტრადიციული მოლდავური მახალმებებითა და პურ-მარილით შეხვდნენ სტუმრებს ბენდერის მცხოვრებნი. მოძმე ხალხის წარმომადგენლებს დაათვალიერებინეს ქალაქის ახალი მშენებლობანი, მისი ისტორიული და სამახსოვრო ადგილები. ხანგრძლივი ტაშით, აღტაცებული შეძახილებით — „ბის!“ აჯილდოებდნენ ქართველ მსახიობებს ხუთსავე კონცერტზე, რომელიც მათ მოლდავეთში გამართეს.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲗᲘᲡ

ნიგერიელთა გულისწყრომა

ლაგოსი, 8 აგვისტო. (საკდესი). ნიგერიელი ხალხის მრავალმილიონიანი მასები გმობენ ინგლისის მთავრობის განზრახვას კვლავ მიაწოდოს იარაღი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებს.

„სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის იარაღის მიწოდების განახლება, — წერს „მორნინგ პოსტში“ ლაგოს ოჯო, — კონსერვატორთა წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო. პატრონრასთან გარიგებებით უწინარეს ყოვლისა დაინტერესებული არიან ინგლისის მონოპოლისტური წრეები“. კონსერვატორებმა, რომლებმაც გადაწყვეტეს იარაღი. გაუგზავნონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ბაზს უსვამს წერილის ავტორი, ამით დაამტკიცეს, რომ იცავენ ინგლისის მონოპოლიათა ინტერესებს, რომლებიც ზღაპრულ მოგებას იღებენ იარაღის წარმოებისა და გაყიდვის შედეგად.

დაძაბულობის შენელებისათვის

ბონი, 8 აგვისტო. (საკდესი). მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შელმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება, რომელიც პარაფირებული იყო 7 აგვისტოს მოსკოვში, დიდმნიშვნელოვანი მომენტი იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში.

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

დარ-ეს სალამი, 8 აგვისტო. (საკდესი). ლუსაკიდან მიღებული ცნობებით იქ დამთავრდა ზამბია-ბოტსვანის მოლაპარაკება ორი ქვეყნის ურთიერთობის ძველ რიგ საკითხებზე.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ორი ქვეყანა მალე ხელს მოაწერს საეგპრო შეთანხმებას. კომუნიკედან ჩანს აგრეთვე, რომ მოლაპარაკების დროს მხარეებმა განიხილეს იმ გზის მშენებლობის საკითხი, რომელიც დააკავშირებს ზამბიას ბოტსვანასთან, აგრეთვე ტურიზმის განვითარების საკითხები.



გმირი ხარაჩოებზე

ახლა, როცა რუსთავის ფართო ქუჩებში, პროსპექტებზე და ხეივნებში გაივლი და თვალს მიაპყრობ ლამაზად ნაგებ მრავალსართულიან სახლებს, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოიხსენიო მარჯენამოულელელი მშენებლები. მათ შორის ერთ-ერთი პირველია შოთა მოდებაძე. მისი სახელი ახლა ცნობილია ყველა რუსთაველისათვის, რესპუბლიკის მშრომელებისათვის. ორიოდე თვის წინათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს განკარგულებით რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს დაეყარა ჩავიდნენ რუსთავში და გაეცნონ შოთა მოდებაძის მუშაობის მეთოდს. ამ მეთოდს კი მშენებლები თავიანთ ენაზე ასე უწოდებენ — ბინების მშენებლობა ბორბლებიდან.

არის რუსთავში სახლთმშენებელი კომბინატი. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ეს საწარმო წელიწადში უშვებს 85 ათას კვადრატულ მეტრ სამშენებლო ბლოკებს. ესენია სახლის მთლიანი კედლები თავისი ფანჯრებითა და კარებით, სახურავი, საძირკველი, მოჯირები და ყველა ის დეტალი, რაც საჭიროა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

მშენებლობაზე მაშინ მივედით, როცა შოთა მოდებაძე და მისი 85 კაცისაგან შემდგარი კომპლექსური, კომუნისტური-შრომის ბრიგადა თოდრიას ქუჩაზე № 105 სახლის პირველი სართულის მონტაჟს აკეთებდა. ვნახეთ, როგორ აწარმოებდნენ ბინების მშენებლობას უშუალოდ ბორბლებიდან. მოვიდა სატვირთო მანქანა, რომელმაც მოიტანა უზარმაზარი მთლიანი კედელი. მძღოლმა ძრავის გამორთვაც კი ვერ მოასწრო, რომ ამწე კოშკურამ კედელს კავები ჩაავლო და თვალის დახამხამებაში მშენებარე სახლთან მიიტანა. მშენებლები მის მონტაჟს შეუდგნენ. მორჩნენ თუ არა, ახლა მეორე მანქანა მოვიდა, ახალი კედელი მოიტანა ისიც გადმოსცალეს, ბორბლებიდან პირდაპირ დასამონტაჟებლად აიტანეს. მშენებლობაზე სამშენებლო მასალების მიწოდება და მათი დამონტაჟება ისეა ორგანიზებული, რომ სამშენებლო მოედნებზე მთლიანად ლიკვიდირებულია სასაწყობო მეურნეობა.

რაში მდგომარეობს ამ მოწინავე, პროგრესული მეთოდების სიკეთე? ჯერ ერთი, საშუალოდ 50 ათასი მანეთით მცირდება თვითეული სახლის მშენებლობის თვითღირებულება, ამწე მექანიზმების გამოყენება გაზრდილია 8-ჯერ, 40 დღით ადრე მთავრდება სახლის მონტაჟი. ამ მეთოდით შ. მოდებაძის ბრიგადამ რუსთავში აუშენა 14 ცხრასართულიანი სახლი, რომლის საერთო ფართობი 80 ათასი კვადრატული მეტრია. ამ სახლებში ცხოვრობენ მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცემენტეები, მანქანათმშენებლები და თვით მშენებლები. ყველა ოჯახი კმაყოფილია აქ მიღებული ბინებით, რომლებიც მეტად მოხერხებულია და მაღალი ოსტატობით არის შესრულებული.

1958 წელს ჩამოვდა შოთა მოდებაძე რუსთავში სამუშაოდ. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ ლაგოდეხელ ჭაბუკს მშენებლობაზე მუშაობის გამოცდილება არ გააჩნდა. მოსკოლისთანავე იგი გამოცდილი მშენებლის არტემ ნოდიას ბრიგადაში ჩარიცხეს. შოთამ მაშინვე მიიპყრო თანამოსაქმეთა უურადღება. იგი მალე დაეუფლა მშენებლის რთულ, მაგრამ საამაყო პროფესიას. ნახევარი წლის შემდეგ მენსიაზე წასულმა არტემ ნოდიამ ეხატაფეტა ბრიგადაში ყველაზე ახალგაზრდა წევრს ჩაბარა. აქედან მოყოლებული შოთა მოდებაძე დაუფლავად და საქმის დრმა ცოდნით ხელმძღვანელობს მემონტაჟეთა კომპლექსურ ბრიგადას. ეს ბრიგადა შეხმატკბილებული და მეგობრული კოლექტივი ადმოჩნდა. მის შრომისმოყვარეობასა და მუშურ სინდისზე რუსთავში ლაპარაკობენ. აბა ვინ არ იცნობს რუსთავში ამ ბრიგადის წევრებს—გივი თავაური, შოთა გულვერდაშვილს, ევგენი ელიზბარაშვილს, ზაქრო ქოთამაძეს, ბესო როსტიაშვილს, ზელიმხან მიქაძეს, გიორგი გელოვანს, გიორგი მათიაშვილს. ისინი 20-25 წელია ამ საამაყო საქმეს ემსახურებიან.

შოთა მოდებაძეს ბავშვობიდანვე უყვარდა გარჯა. ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლობდა, რომ ნახევარი მეკტარი თამბაქოს პლანტაცია ჩაიბარა, თვალისჩინივით უვლიდა და სარეკორდო მოსავალიც მოპყავდა. ახალგაზრდის შრომა შეუმჩნეველი და შეუფასებელი როდი დარჩა. 17 წლის ჭაბუკი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. ეს იყო მოდებაძის პირველი დიდი სახალხო.

1966 წელი. სხრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში კვლავ გამოჩნდა გვარი მოდებაძე. ამჯერად მას, როგორც რუსთავის საუკეთესო მშენებელს, სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ვინ მოთვლის სახელოვანმა მშენებელმა რამდენ კაცს შეასწავლა კალატოზის, დურგლის, მებათქაშის და სხვა პროფესიები. ბევრი ყოფილი მისი მოწაფეები ახლა მშენებელი ინჟინრები არიან. მაგალითად, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაამთავრეს ინსტიტუტი და მშენებლის დიპლომები დაიცვეს ფ. მაღლაკელიძემ, ო. პატიაშვილმა, გ. დავითაიამ და სხვებმა. ამ წარმატებას ისინი პირველ რიგში თავიანთ მეგობარსა და აღმზრდელს შოთა მოდებაძეს უმადლიან.

შოთა მოდებაძის ბრიგადის წევრებს საუკეთესო პირობები აქვთ შრომისა და სწავლისათვის. ამიტომ არის, რომ თითქმის ყველანი სხვადასხვა პროფესიის ათვისებასთან ერთად ბეჯითად სწავლობენ საღამოს საშუალო სკოლებსა და ინსტიტუტებში. მაგალითად, უ. იასაღაშვილი, ბ. ჯავშანაშვილი, დ. ჯავშანაშვილი, ე. ზიროვა და სხვები საშუალო სკოლაში სწავლობენ, ხოლო გ. ხოშტარია ინსტიტუტის სტუდენტია.

შოთა მოდებაძემ და მისი ბრიგადის წევრებმა კარგ შრომასა და სწავლასთან ერთად კარგი დასვენებაც იციან. შაბათ-კვირა ისე არ გაიცვლის რომ ეს მეგობრული კოლექტივი საექსკურსიოდ არ წავიდეს. ამ ბოლო ხანებში იყვნენ ვარძიაში, ჩარგალში, თელავში და სხვა საინტერესო ადგილებში.

გონივრულად ატარებს ყოველ შვებულებას შოთა მოდებაძე. შარშანწინ იგი მეუღლესთან ერთად იყო მოსკოვსა და ლენინგრადში, შარშან ინახულეს ლიტვა, ლატვია და ესტონეთი.

ფიქრობ წელს გავემგზავრო ტაშკენტში, გვითხრა მოდებაძემ, სადაც ორიოდე წლის წინათ მონაწილეობა მიეღო მიწისძვრისაგან დანგრეული ქალაქის აღდგენაში და სადაც უზარეკ მეგობრებს ძმობა გავუწიე.

შ. მოდებაძის ბრიგადა ჩაება სკკპ XXIV ყრილობის, ხაბეჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს ამ სახელოვან თარიღებს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სამამულო ტექნიკა — სოფელს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმმა სოფლის მეურნეობის სხვა საკითხებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის განვითარებაში მეცნიერების როლის ამაღლებას. ახლანდელი სოფლის მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილებები ახალი ამოცანების წინაშე აყენებს მეცნიერებს. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა მეცნიერებმა ყურადღება მიაპყრონ იმის, რომ უფრო სრულად გამოიყენონ წარმოებაში მეცნიერული ცოდნის შედეგები, დაწარეგონ მეცნიერებით შემოწმებული მოწინავე პრაქტიკა.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა შრომის ნაყოფიერებას გადიდების და მაწყობმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გადამწყვეტი ფაქტორია. ამიტომ მომავალში სოფლის მეურნეობის ტექნიკა, — მხედველობაში გვაქვს პრინციპულად ახალი მანქანები და მექანიზმები, რომლებმაც ძირფესვიანად უნდა შეცვალოს როგორც ნიადაგის დამუშავების ტექნოლოგია, ისე ძირითადი საწოლო -სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების მეთოდები,—მოითხოვს ამ მანქანების თერორიული საფუძვლები შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას. ამიტომ აუცილებელი ხდება გავიფიქროთ ზოგიერთ ძირითადი ამოცანების შესახებ, რომ საქართველოში დამატებით მოიზიდოთ საათანადო [illegible] ... ცენტრალურ[illegible] ... ეროვნული [illegible] ... „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილების, ცხოვრებაში გატარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სოფლის მეურნეობის ტექნიკის სწორად გამოყენება.

მაგალად უნდა ავიღოთ ეგზ, რომ თვითეულ სატრაქტორო აგრეგატს მართავდეს ერთი ბუნა მძღოლი და ვაუარეოოთ ძიება მანქანის დისტანციური მართვისა, როგორც წესი, ყოველ სატრაქტორო აგრეგატზე უნდა დადგას ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად დანარჩენ მუშაობს და სიჩქარეს ტექნიკის სახელმწიფო საკონსტრუქტორო ბიუროში შემუშავებული ასეთი ახალი მანქანების კონსტრუქციები.

ტექნიკის მეცნიერებამა კანდიდატმა, მ. შანიძის მიერ დამუშავებულია და დამზადდა ხელის მოტორიზებული სამთო სათიბელი, რომელს სამუშაო განი 0,8 მეტრი, წონა 40 კილოგრამი. ხარჯავს 3 ცხენის ძალას და შრომის ნაყოფიერებას ზრდის 5-ჯერ. ტექნიკის მეცნიერებამა კანდიდატმა თ. ლორთქიფანიძის მიერ შექმნილია ხელის მოტორიზებული ჩაის სასხლავი აპარატი, რომელიც აწონის 25 კილოგრამს, ხარჯავს 2,5 ცხენის ძალას და შეუძლია შეცვალოს ერთი სატრაქტორო სასხლავი. ეგრეგატი წონით 1.200 კილოგრამი, აპარატს ამუშავებს ორი მუშა.

მეტად საინტერესოა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია მ. კალალიასის მიერ დაპროექტებული ხელის მოტორიზებული ჩაის სანერგე აპარატი, რომლის წონა 6 კილოგრამია, სამუშაო განი 36 სანტიმეტრი და შეუძლია გაბარდოს შრომის ნაყოფიერება 5-ჯერ. ეს აპარატი ამჟამად მზადდება და მალე გაივლის ლაბორატორიულ საველე გამოცდებს.

ეჭვი არ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ეს დიდი და ნაპატიო დავალება ჩვენი მეცნიერების და კონსტრუქტორებისადმი წარმატებით იქნება შესრულებული. ამისათვის ყველა პირობა გვაქვს შექმნილი.

გ. ზხვაცაბაია.

ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მოსაკლის ამდები მანქანების კათედრის გამგე, პროფესორი.

მშენებლები საიუბილეო ვახტზე

მთავარობილმშენის „მე-8 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი (უფროსი ნ. სიხარულიძე, მთავარი ინჟინერი ო. ფუსერიძე) სასახლეო მაჩვენებლებით ხვდება თავის დღესასწაულს — მშენებლის დღეს. მშენებლებმა შვიდი თვის გეგმა 112 პროცენტით შეასრულეს, გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 168 ათასი მანეთის ნაცვლად 2 მილიონ 431 ათასი მანეთის სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა. მშენებლებმა განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ივლისში. თვის დავალება 116 პროცენტით გადასაღდეს, განვლილ პერიოდში შრომის ნაყოფიერება 1,2 პროცენტით გაზარდეს.

მშენებლთა კოლექტივი ჩაება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის საპატივცემულო ფასეულობა. ეს მეთოდი ხელიდან ჩვენს გამოსავლიანობას 10-15 პროცენტით ზრდის. მარტო შარშან, წელს ამ სიახლით დაზოგილია 109,1 ტონა ხელი. ამავე წარმოებაში მოეწყო ციტრუსთა წვენეშესანახავი ეთერზეთების მოსაცილებელი სპეციალური აგრეგატი, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მთელ რიგ საწარმოებში დაინერგა ვაშლის ხილფაფის ხარშვისა და შაქრიანი წვენების დამზადების ახალი ტექნოლოგია და ნორმები, რითაც შარშან საკავშირო მომქმედ ნორმებთან შედარებით დაზოგილია 312,4 ტონა ვაშლი, 849,7 ქლიავი, 1.085,2 ტონა ასკილი, 64,6 ტონა მანდა; საკონსერვო ქარხნებში ახლა იყენებენ სორბინის მეავას, როგორც დამაკონსერვებელ საშუალებას. ამ წესით გამოშვებულია 8.282 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, მათ შორის ფუტერილიზაციით — 6.072 ათასი პირობითი ქილა, საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, შემცირდა დანახარჯები.

არის სხვა სიახლეც: ზამთრის პერიოდში სამუშაოდ ყურძნის ტაბლა ვინახავთ დიდი მოცულობის ჭურჭლებში. აღნიშნული მეთოდით შარშან შევინახეთ 697 ტონა ყურძნის ტაბლი, რითაც მიღებულია 36,5 ათასი მანეთი ეკონომია. წელს დაგეგმილია ამ წესით შეკინახოთ 2.000 ტონა ყურძნის ტაბლი. წარმატებით დაინერგა აგრეთვე ყურძნის ტაბლის ჩამოსხმა 10-ლიტრიან ქილებში ფუტერილიზაციით. ესეც დიდ ეკონომიას იძლევა და პროდუქციის ხარისხსაც აუმჯობესებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საწარმოებში რეგულარულად ეწყობა ხარისხის დღე, დეგუსტაციები ტრესტისა და მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობით, უხარისხო პროდუქციის გამოშვების ყოველი შემთხვევა აღრიცხება და სათანადო შეფასება ეძლევა.

უკანასკნელ ხანს ტრესტის საწარმოებმა მრავალი ახალი სახის პროდუქცია ითვისეს. მარტო შარშან გამოშვებულია 12 ახალი სახის პროდუქცია. ახალი ნაწარმის მომხმარებელთა მოწონება დაიმახსოვრა. დიდი ყურადღება ექცევა პროდუქციის გარეგნულ გაფორმებას, მზადდება ახალი ეტიკეტები. მაგალითად, უკანასკნელ ხანს დამზადდა 104 სახის ახალი ეტიკეტები.

ამ ღონისძიებებმა საყოფი გამოიღო. თუ წინათ ტრესტის საწარმოები მომხმარებლებისაგან ბევრ რეკლამაციას იღებდნენ და დიდ ჯარიმებს იხდიდნენ ეზარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის. ახლა ეს მდგომარეობა გამოსწორდა. შარშან მეკონსერვეებს ჯარიმა არ გადაუხდიათ.

ამ ბოლო ხანს ჩვენი პროდუქცია საზღვარგარეთაც იგზავნება იქაური მომხმარებლის მოსწონს ქართული კონსერვები. გვთხოვენ მეტი რხოდენობით გაგზავნოთ. ამიტომ პროდუქციის ეგზპორტი თანდათან იზრდება. წელს საზღვარგარეთელი მომხმარებელი 530 ათას ქილა კონსერვს მიიღებს. აქედან წინათ ჩვენი პროდუქციის ნიმუშები გაგზავნა გამოფენებზე საფრანგეთსა და ბულგარეთში.

მიმდინარე წელს უნდა გამოვუშვათ 170 მილიონი პირობითი ქილა კონსერვები. ამ დიდი დავალების შესასრულებლად დაიდგა ახალი მოწყობილობა. საწარმოები უზრუნველყოფილია მინის ტარით, საჭიროებით და საჭირო დამზადებულ მასალებით. ჰერეთელი წარმატება მოპოვებულია. კონსერტრესტმა 6 თვის დავალების გადამეტებით გამოუშვა 7.354 ათასი ქილა კონსერვი და 1.500 ტონა ბაქანი. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით გაგზავნია 1.977 ათასი მანეთის პროდუქცია, მიღებულია 638 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება.

ტრესტის ყველა საწარმოში სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაჩეფდა სოციალისტური შეჯიბრება, რაც იმის თავდებია, რომ ნაკისრი გალდებულებები წარმატებით შეასრულდება.

მიმდინარე წელს კონსერვტრესტის საწარმოებში ყველა განხორციელდება მრავალი ღონისძიება, რითაც კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება მექანიზაციის დონე, გაფართოვდება პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდება ნაწარმის ხარისხი. ჩვენი ხალ-ბოსტნეული ყველაზე ღირსებით, ვიტამინების შემცველობით საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ვალია, რომ საქართველოში დამზადებული კონსერვის ნაწარმი მხოლოდ მაღალი ხარისხისა იყოს და მსოფლიო სტანდარტების დონეს შეესაბამებოდეს.

ო. გიორგობიანი,
საქკონსერვტრესტის მმართველის მოადგილე, მთავარი ინჟინერი.

ბაღლდეგა რენტაბელობის დონე

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომუნისტურ პარტიას საწარმოებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის წართოებაში დანერგვისა და ძოძომატეგვად საქმეშოების მექანიზაციისათვის. მარტო 1969 წელს ამ ღონისძიებებით მიღებულია 262 ათასი მანეთი ეკონომია, ანუ 297 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1968 წელს. გეგმით წარმოებაში უნდა დანერგილიყო 94 ორგანიზაციული ღონისძიება, ფაქტიურად დანერგა 95, ე. ი. წლის წელთან შედარებით 29-ით მეტი. ამ ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მზ ბოლოდ ცალის გეფორმების ნაზი-ბის ძოწყობა ქუთაისისა და გორის საკონსერვო ქარხნებში, ოდაც დიდი რაოდენობით გამოთავისუფლა მუშახელი, და თვითეულმა ქარხანამ წლიურად 22 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. ტრესტის 8 ქარხანაში მოეწყო ხილის ხატურალური წვენების მექანიზებული ხაზები, ასევე ბოთლების ნაყოფიერება თითქმის 7-ჯერ გაიზარდა.

გორის საკონსერვო ქარხანაში დამონტაჟდა ვაშლის გამჭვირვალე ხატურალური წვენის ექსტრაქტებული ხაზი, რომელიც სეზონში 4.000 ტონა ვაშლს გადაამუშავებს; აღნიშნულ ხაზზე წვენების ჩამოსხმა იწყებოდეს ასეპტიკური მეთოდით, ისე, რომ საერო არ არის სტერილიზაცია. აქვე გათვალისწინებულია ფერადხატების გამოყენება. ვაშლიდან წვენის გამოსაწნეხებლის გაზრდის მიზნით, ამ ტექნოლოგიური ხაზის გამოყენებით გორის საკონსერვო ქარხანა წლიურად მიიღებს 202 ათას მანეთი ეკონომიას, ამასთან ვაშლის ხატურალური წვენის წარმოება 4-ჯერ გაიზრდება.

ქუთაისისა და სამტრედიის საკონსერვო ქარხნებში დამონტაჟდა და ხაქესლოატაციოდ გადაეცა ბარდის გადამამუშავებელი მძლავრი ტექნოლოგიური ხაზები, რომლებიც ამ ბაღეულებში უხარუნველყოფენ ბარდის შეუფერხებელ მიღებას და სწრაფ გადამუშავებას, რა მაღალი მოსავალიც უნდა იყოს. ამასთან ამ ხაზებზე დამზადებული ბარდის კონსერვები გაცილებით მაღალხარისხოვანია. გარდამავალ ვარკვეთილის მასივში სწრაფი ტემპით აშენებენ რვასართულიან საცხოვრებელ სახლს, რომელსაც საგანსაღამატაციოდ საიუბილეო დღეებში გადასცემენ. კოლმეურნეთა მოედანზე უახლოეს ხანში დაამთავრებენ საყოფაცხოვრებო მომსახურების ექვსსართულიან სახლს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი იქნება ჩვენს რესპუბლიკაში.

მშენებლის დღის კარგი მაჩვენებლებით ხვდებიან სამმართველოს მოწინავე მშენებლები რ. ცინცაძე, ჯ. სულამანიძე, ა. კაციტაძე, ვ. გიორგაძე, ბ. ჯმუხაძე, ვ. ჩიბურდანიძე, გ. ელენტი, გ. ბახუტაშვილი, ა. მანგოშვილი, ფ. ალიევა და მ. ავეტისიანი.

ქუთაისი. (საკ. კორ.).

№ 4 სამშენებლო ტრესტის (მმართველი კ. აბესაძე, მთავარი ინჟინერი ა. ყირტავა) კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომითის ვახტზე დგას, პირველი სასახლეო წარმატება მოიპოვა. მშენებლებმა განვლილ შვიდ თვეში 9 მილიონ 901 ათასი მანეთის სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს და დავალება 107 პროცენტით გაანაღდეს.

ქუთაისელმა მშენებლებმა დროთულად გადასცეს საექსპლოატაციოდ ყველა სამრეწველო ობიექტი, ხოლო ბინათმშენებლობაში ... გეგმა 121,2 პროცენტით შეასრულეს. საგულისხმოა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დახარჯულ ყოველ მილიონ მანეთზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები გამოყენებულია 3.056 კუბმეტრის ოდენობით. მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვით და სამუშაოთა გაიაფების გზით აქ 41 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება მიიღეს. ასევე მაჩვენებლები ეფექტიანობაზე ქუთაისელი მშენებლები თავიანთ დღესასწაულს.

სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული საწარმოო სიმძლავრეთა ეკ. დაზე ამუშავებისათვის, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის გ. კარავაევის ბრძანებით ტრესტის მთელი რიგი მუშაკები დაჯილდოებული არიან ფულადი პრემიით.

ᲘᲐᲤᲕᲐᲯ. ᲖᲐᲠᲘᲡᲖᲘᲐᲜᲐᲯ

საექსპლოატაციოდ ყველა სამრეწველო ობიექტი, ხოლო ბინათმშენებლობაში გეგმა 121,2 პროცენტით შეასრულეს. საგულისხმოა, რომ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დახარჯულ ყოველ მილიონ მანეთზე ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები გამოყენებულია 3.056 კუბმეტრის ოდენობით. მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების ფართოდ დანერგვით და სამუშაოთა გაიაფების გზით აქ 41 ათასი მანეთი ზეგეგმური მოგება მიიღეს. ასევე მაჩვენებლები ეფექტიანობაზე ქუთაისელი მშენებლები თავიანთ დღესასწაულს.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲘᲠᲓᲘ, ᲙᲘᲠᲘᲜᲐ, 9 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1970 Წ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲐᲮᲚᲝᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲔᲚᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ?

სკოლა — ყურადღების ცენტრში

სკოლისათვის ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმეა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა ქალაქ გორის სკოლების და საბავშვო დაწესებულებათა შვიდი ორგანიზაციების გაფართოებული თათბირი, რომელიც 6 აგვისტოს გაიმართა. პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ცეცქირიძემ დამსწრეთ გააცნო 1970-1971 სასწავლო წელისათვის მზადების მდგომარეობა. კონკრეტულ მაგალითებზე ინფორმაცია გააკეთა ქალაქ გორის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ ვ. ზექალაშვილმა.

1970-1971 სასწავლო წელისათვის მოსამზადებლად ფართოდ არის გაშლილი თეიციალისტური შეჯიბრება შვიდეს შორის. თათბირი ამ შეჯიბრების მიმდინარეობის ერთგვარი შემაჯამებელი იყო.

კარგი მაჩვენებლები აქვთ № 2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ლ. ინაური), გორის ბამბეულის კომბინატს (დირექტორი ნ. ბოჭორიშვილი), მექანიკურ ქარხანას (დირექტორი ი. სადური) და ადგილობრივ მრეწველობას (დირექტორი გ. ზერეკიძე).

მათ კეთილმოწყობილ სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ეზოები, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაგალითად, ბ. ჯავშანაშვილი, ბ. ბ. ... ...

მსოფლიო დღეს

საბჭოთა კავშირ-იტალიის ვაჭრობა

7 აგვისტოს მოსკოვში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად იტალია სსრ კავშირს მოაწვდის გაზის მრეწველობისთვის საჭირო მილებს. იტალია მოგაწვდის 1 მილიონ ტონა დიდი დიამეტრის შესადუღ მილებს გაზსადენებისათვის და 100 ათას ტონა უნაკერო მილებს გაზის ჭაბურღილებისათვის. მილების მოწოდება დაიწყება 1970 წლის დასაწყისს.

კონტრაქტს ხელი მოაწერეს იტალიაში საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდების შეთანხმებისა და სსრ კავშირ-იტალიის საკრედიტო შეთანხმების განვითარების შესაბამისად. (საკდესი).

ბრნოს ავიასალონის სიახლენი

პრაღა, 8 აგვისტო. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, **ჩეხოსლოვაკიის** ავიაციის **ეროვნული** ავიაკომპანიის

საქართველოს ამბავი - ბარათი

დიადი მეგობროობის დოკუმენტები

ოცდაათ წელზე მეტია, რაც ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების დროშით მიდიან წინ უკრაინელი და ქართველი მაღაროელები. დიადი მეგობრობის აღსანიშნავად ჭიათურის კულტურის სასახლის ვრცელ დარბაზში მოეწყო სპეციალური გამოფენა, რომელიც ასახავს მანგანუმის ორი დიდი აუზის წარმატებას ხუთწლედში. აქ წარმოდგენილია თანამედროვე სამთო ტექნიკა, მანგანუმის ხარეცხი აგრეგატები, სანარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რომელიც დანერგილია მაღაროებში და ფაბრიკებში.

მეორე გაანყოფილება დათმობილი აქვთ ხუთწლედის გმირებს. აქ არის ნიკოპოლელი კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელების, სოციალისტური შრომის გმირების ივანე მელნიკოვის, ივანე რუდენკოს, ქართველი მაღაროელების, სოციალისტური შრომის გმირის პეტრე გოგატაშვილის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვასილ პაპაძის პორტრეტები.

(საქდესი).

1 სექტემბრიდან ახალ კორპუსში

სოხუმი. (საქდესი). პირველ სექტემბერს მწყობრში ჩადგება საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ახალი კორპუსი. აქ განლაგდება ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, ერთ-ერთ სართულზე მოეწყობა სპორტული დარბაზი. მთავრდება აგრეთვე სტადიონის მშენებლობა.

ყველა ამ სამუშაოში აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები. სოხუმელთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ ქუთაისის სატყეო მეურნეობის ტექნიკუმის მოსწავლეები.

ზ ე მ ი რ თ ა სადიდებლად

თიანეთის რაიონის სოფელ ლიშოში გაიხსნა სამამულო ომში დაცემულ თანასოფელთა უკვდავსაყოფი ობელისკი. ობელისკის გახსნაზე თავი მოიყარეს ლაშოელმა მოსახლეობამ, სტუმრებმა დაბა თიანეთიდან, მოვიდნენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

ობელისკის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს რაიონის სამხედრო კომისარმა ე. გოგოლაძემ, კულტურის რაიგანყოფილების გამგემ, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ი. არჩემაშვილმა, ვეტერანმა კოლმეურნემ ალ. დულუბაურმა და სხვებმა.

ობელისკთან ბევრი კარგი სიტყვა თქვა, მოგონების მრავალი ფურცელი გადაშალა მეომართა პირადი ცხოვრებიდან.

სამშობლო არ ივიწყებს გმირებს, ბრძოლაში დაცემულთა უკვდავსაყოფად აღმართული ობელისკიდან დღეს ცოცხლებივით გვიცქერენ ლიშოელი იოსებ აბალიშვილი, ალექსი ახალაური, გიორგი ნინიაშვილი, ლევან კუკელაშვილი, ლევან კეტერშვილი, იოსებ და პავლე გოგიშვილები, ნიკოლოზ ბალღაშვილი, გიორგი საყვარელაშვილი და სხვა მრავალი გმირი.

ე. თარიმანიშვილი.

ხელოვნების ქრონიკა

თელავი. (საკ. კორ.). შოთა რუსთაველის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ (რექტორი გ. შათირიშვილი) შეხვედრა მოაწყო საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემოქმედებით კოლექტივთან, რომელმაც გადაიღო ფილმი „იყალთოს ნაფუძარნი" (რეჟისორი რ. ჭიაურელი, ოპერატორი თ. მეგრელიშვილი). სასოფლო კლუბის დარბაზში დიდძალი ხალხი შეიკრიბა.

გურჯაანი. (საკ. კორ.). კულტურის სახლი განსაკუთრებით ფართო მუშაობას ეწევა ზაფხულის თვეებში. ამას წინათ თეატრალურმა კოლექტივმა მოამზადა და კარდანახის, ბაკურციხის, ჩუმლაყის, ჩალაუბნის, კალაურისა და სხვა სოფლების მაყურებელს უჩვენა გ. მოდებაძის პიესა „ცხოვრების გზაზე", რომლის დადგმაც ეკუთვნის რეჟისორ ზ. გოგლიძეს.

თეატრალური კოლექტივი მომსახურებას უწევს მეზობელი ყვარლის რაონის სოფლებსაც. აღნიშნული პიესა ნახეს გაგაზის, ჭიკანის, ახალსოფლისა და სანავარდოს მშრომელებმა.

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, პროფესორ ნ. კანდელაკის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც მხატვრის დაბადების 80 წლისთავს შეეძღვნა.

გამოფენა, სადაც სულპატურული პორტრეტები და მხატვრის ნამუშევართა ფოტოორეპროდუქციები წარმოდგენილი, 1 სექტემბრამდე გასტანს.

თ ე მ ა ტ უ რ ი საღამო

დუშეთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კარლ მარქსის სახელობის რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ, დუშეთის სარაიონო ბიბლიოთეკასთან ერთად, რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ბიბლიოთეკების გამგეებისათვის მოაწყო თემატური საღამო.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ბ. სანტალოვამ და უფროსმა ბიბლიოთეკარმა ნ. დუშბაძემ, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. ოქროპირიძემ, რომელმაც წაიკითხა საინტერესო ლექცია თემაზე — მექანიზაცია მეცხოველეობაში.

ბ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

გ ა მ ო ც დ ე ბ ი გ რ ძ ე ლ დ ე ბ ა

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები მიმდინარეობს. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ბევრი აბითურიენტი კარგ მომზადებას ავლენს, რესპუბლიკის სტუდენტებას ღირსეული შეკვეთა ექნება.

სურათზე: გამოცდა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ინგლისურ ენაში. აბითურიენტის პასუხს ისმენენ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე დოცენტი ირინე ამტროპა (შუაში), უფროსი მასწავლებლები ლამარა ჩოხია (მარჯვნივ) და ციალა მირცხულავა.

ფოტო ბ. ბოგოხიანი.

ბ ჭ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს ა

მ ო ბ ა რ ი ს ც ა ნ ა ო ბ ა ც ა

ამას წინათ, „ნედელიას" გათვალიერებდი. განყოფილებაში „მრგვალ მაგიდასთან" გამოქვეყნებულია ფრიად საყურადღებო საუბარი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებთან, თუ რა გზით უნდა ვებრძოლოთ საზოგადოებისათვის მტრად ხაშიშ სენს — ალკოჰოლიზმს. ჩემთვის, მეღვინეთათვის, მტრად საყურადღებო აღმოჩნდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ტ. შუბილინის ერთი მოსაზრება. ი ი რას ამბობს იგი: „საკითხთა სპეციალური დაჯგუფება დაკავშირებულია სპირტიანი სასმელების გაყიდვასთან. პრესაში უკვე არაერთხელ გაისმა ხმები არყის, მაგარი სპირტიანი სასმელების საწინააღმდეგოდ ყურძნის ღვინის, ლუდის წარმოების გადიდების შესახებ..." სწორედ ამ სიტყვებმა აბალებინა ხელში კალამი, და მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ვებრძოლოთ ლოთობას... ყურძნის ღვინის საშუალებით, რა პარადოქსალურადაც უნდა გვეჩვენებოდეს ეს.

ჩვენი ხალხი უხსოვარი დროიდან ახარებდა და ახარებს ვაზს, აყენებს შესანიშნავ ღვინოს. და განა მარტო ქართველი ხალხი? — ღვინოს — სიცოცხლის, მხიარულების ელექსირს უმღერდნენ წარსულის დიდი პოეტები, იგი სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ გამოჩენილ მეცნიერებს, მის უზომო და ჭარბად სმას სხვადასხვა მკაცრი ზომებით სდევნიდნენ გამჭრიახი სახელმწიფო მესვეურები. მოკლედ გამოითქმის დიდი იტალიელის ლეონარდო და ვინჩის მშვენიერი ნათქვამი — „ღვინო ჯავრს იყრის ლოთებზე".

რა თქმა უნდა, ალკოჰოლიზმთან ბრძოლის ძირითადი საშუალებაა, უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი, მაგრამ სპირტიანი სასმელების მოხმარების გონივრული შეზღუდვა და სხვა საზოგადოებრივი ღონისძიებანი. მაგრამ ამასთან ერთად როგორც მეღვინეები, ისე მეღვინეები და ექიმები ხშირად ამბობენ, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად თვით ღვინის გამოყენება შეიძლებაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. საქმე ისაა, რომ ყურძნის, სუფრის მშრალი ღვინოებთან თანდათან განლევნიან მაგარ სასმელებს. ყურძნის სასმელების სარგებლიანობა პირველ რიგში მიეკუთვნება სუფრის ღვინოს. იგი ძვირფასია თავისი ნატურალურობით, რადგან მხოლოდ სუფთა ყურძნის წვენისაგან არის მოღებული.

სუფრის ღვინოებში ეთილის ალკოჰოლი 10-12 პროცენტია, ეს ისეთი მცირე რაოდენობაა, რომ ჯანმრთელ ადამიანს არ ავნებს, თუ ღვინოს გონივრულად ხვანს. სუფრის ღვინოებში არის ისეთი ნივთიერებანი, რომლებიც ასუსტებენ ალკოჰოლის მავნე გავლენას. ეს მოსაზრება ექსპერიმენტულად დაამტკიცა აკადემიკოსმა ი. ქუთათელაძემ. ღვინოში აღმოჩენილია ავრეთვე სხვადასხვა ვიტამინები, რომლებიც ამაღლებენ ღვინის კვებითს ღირებულებას.

ეჭვი არ არის, ქართულ ღვინოებს შეუძლიათ არა მარტო სუფრა დაამშვენონ, არამედ მათ წარმატებით ვიყენებდეთ სამკურნალოდაც. ღვინის ზედმეტი სმა მავნეა, ხოლო მისი ზომიერად მოხმარება ორგანიზმისათვის საჭირო და აუცილებელიც არის. ტყუილად კი არ ამბობდა დიდი ილია, ვაზი ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი თვისებაოო.

მტკიცეულ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მეღვინეობის განვითარებაა ალკოჰოლიზმთან ბრძოლის რეალური გზა. დიდი ფრანგი ბიოლოგი ლუი პასტერი ამბობდა — „სრული უფლებით შეიძლება მიღებულ იქნას ღვინო, როგორც ყველაზე ჰიგიენურად ჯანსაღი სასმელი".

ღვინის შექმნის დღიდან მის სარგებლობაზე საკმარისად ბევრი ითქვა და დაიწერა. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამბობდა, მას შეუძლია წამლის როლი შეასრულოსო. ღვინის ზომიერად მოხმარება აჩერებს ქოლესტერინის განვითარებას სისხლში, ათეროსკლეროზის დასაწყისს, ღვიძლის კენჭოვან დაავადებებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მშრალი კანონები და სპირტეულით ვაჭრობის მკაცრი შეზღუდვა შემოღებული იყო ძირითადად იმ ქვეყნებში, სადაც ღვინის საშუალო მოხმარება თვითეულ ადამიანზე ნორმაზე ნაკლებია. მეღვინეობის რაიონების ძირითად მოსახლეობაში როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, მეტად მცირეა ალკოჰოლიკთა რიცხვი, და თუ არის, ისინიც უმეტესად არაყს და სხვა მაგარ სასმელებს ეტანებიან.

ამასთან, რა თქმა უნდა, საკამათო არ არის, რომ ღვინო თავის მიმართ ფხიზელ, ზომიერ დამოკიდებულებას მოითხოვს. სპირტიანი სასმელების სისტემატურად და ჭარბი რაოდენობით მიღების შედეგად ადამიანის ორგანიზმში იქმნება თავშეუკავებელი მოთხოვნილება სასმელის მიღებისა, რაც შემდეგ გადადის ფიზიოლოგიურ დაავადებად.

ალკოჰოლი შხამია, მისი ბოროტად გამოყენება იწვევს ორგანიზმის ფუნქციების მოშლას, ასუსტებს ნერვულ სისტემას, იწვევს კუჭის სხვადასხვა დაავადებას, ღვიძლისა და გულის ატროფიას. გარდა იმისა, რომ ალკოჰოლის ჭარბი და სისტემატური მოხმარება თვით მომღეზე უარყოფით გავლენას ახდენს, იგი აგრეთვე მოქმედებს მის შთამომავლობაზე და საზოგადოებაზეც.

მაგრამ ნატურალური ღვინო მცირე დოზებით მავნე გავლენას არ ახდენს, პირიქით, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, მასში არსებული ნახშირწყლები იხარჯება იმ მუშაობისათვის, რაც ადამიანს ორგანიზმში მთელი სიცოცხლის განმავლობაში წარმოებს. ნატურალური ღვინო წარმოადგენს ისეთ პროდუქტს, რომლის მიღების დროს ხდება ორგანიზმის ტონუსის აწევა, ამ მიზნით მას იყენებენ ნაავადმყოფარი ადამიანის გამოჯანსაღებისათვის, ღვინის მიღებით C და B_1 ვიტამინების დანახარჯი კომპენსირდება და აღაგზნებს ჯირკვლების სეკრეციას. ეჭვი დაავადებათა ხასიათის მიხედვით ავადმყოფს ურჩევს ღვინის ტიპებს. მაგალითად, სისხლის ნაკლებობის შემთხვევაში კარგია წითელი ღვინო (საფერავი, მუკუზანი, თელიანი, ზვანჭარა, ქინძმარაული, ახაშენი), რომელიც მდიდარია რადიუმით, იგი აღმჭიზნები და ენერგიის მომმატებელი საშუალებაა.

როგორც ცნობილია, P ვიტამინის დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანრთელობისათვის, იგი ხელს უწყობს კაპილარული სისხლძარღვების ელასტიკურობის შენარჩუნებას. აკად. ს. ლურმიშიძის მიერ ჩატარებული მრავალი ცდით დადასტურდა, რომ კახური ტიპის ღვინო მდიდარია მთრთიმლავი ნივთიერებებით, მას აქვს მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობის თვისება. ე. ი. მისი მოქმედება კაპილარულ მილებზე უფრო ეფექტურია, ვიდრე ევროპული ტიპის ღვინისა.

კალიფორნიის უნივერსიტეტის საშედეგინო პროფილაქტიკის განყოფილების ხელმძღვანელს პროფესორ სალვადორ ლუციას სტატიაში „რა უნდა იცოდეს ექიმმა ღვინის შესახებ" (აღნიშნულ საკითხზე ს. ლუციას გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი შრომა) განხილულია ზოგიერთი საკითხი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღვინოს ადამიანის ყოფაცხოვრებაში. ავტორი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ „კარგია ყველა ექიმმა იცოდეს, თუ როგორი რთული შედგენილობის ბიოლოგიურ სითხეს წარმოადგენს ღვინო. ის არის არა მარტო ალკოჰოლური. არამედ დიეტური სასმელიც, რომელიც სრულ ფიზიოლოგიურ სამკურნალო თვისებებსაც შეიცავს".

ამასთან მინდა მოვიყვანო ძველი რომის პოლიტიკოსისა და მწერლის კატონ უფროსის სიტყვებიც — „ღვინოში კი არ არის ბოროტება, დაბნაშავეა თვით მსმელი".

მიზანშეწონილ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის" მიერ „საჭაშნიკოს" გახსნა თბილისში. რომლის მიზანია მომხმარებელს სურვილის და გემოვნების მიხედვით მიაწოდოს მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები, კონიაკები და შამპანური.

„საჭაშნიკოში" ტარდება ღვინის დეგუსტაცია (დეგუსტაციის) და ლექცია-საუბრები, რომლებზეც მომხმარებელი მოისმენს ახსნა-განმარტებებს, უფრო ახლოს გაეცნობა ქართული სხვადასხვა მარკის ღვინოებს როგორც გემურ თვისებებს, ისე მისი დამზადების ტექნოლოგიას.

ჯ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე.

თ ა ს ი მ ო ს კ ო ვ შ ი გ ა ა მ ო ი ზ ა ა მ თ რ ე ბ ს

„დინამო" მოსკოვი — „დინამო" თბილისი — 2:1 (1:0). მოსკოვი. 8 აგვისტო. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ატა).

„დინამო" მოსკოვი — იაშინი, შტამოვი, სმირნოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, ეშმრკოვი, კოზლოვი, ავროუკი (სიმონინ), ოტკინი, ივანოვიჩინინ.

„დინამო" თბილისი — ურუშაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე (ილიადი), ხურცილავა, ცხოვრებოვი, (ხინჩიგაშვილი), პეტრაშვილი, ციტაიძე, ასათიანი, მანაძე, გ. ნოდია, ჯიჯაშელი.

კარვი ტრადიცია დამკვიდრდა — როგორც წესი, სსრ კავშირის თასის ფინალს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს უკავშირებენ. და მართლაც, დიდი ფიზბურთის ეს ერთ-ერთი ბორდი საბჭოთა სპორტის ამ ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილ ასპარეზობათა დამამშვენებელი ეპილოგია.

ასე იყო წელსაც. დიდაქალაქი ზეიმობდა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს. ცოტა სანახობები როდი იყო ლუჟნიკში მასობრივი საჩვენებელი გამოსვლების სახით, მაგრამ ასი ათასიანი ტრიბუნების თავადი ინტერესი მიპყრობილი იყო ფინალური მატჩისადმი, რომელსაც პასუხი უნდა გაეცა თასი მოსკოვში გამოიზამთრებდა, თუ თბილისს იქვეოდა.

ორი პოპულარული კოლექტივის — მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" როლი სამამულო ფიზბურთში კომენტარს არ საჭიროებს. მაგრამ თუ მოსკოველები სამჯერ ფლობდნენ ამ სპპატიო ჯილდოს, ბროლის თასსმა ვერ იქნა და ვერ მიიღო თბილისის საგუნარი. და აი გუშინ დინამოს ეს ორი მდიდარი ტრადიციის გუნდი, როგორც 33 წლის წინათ, კვლავ პირისპირ იდგა ერთმანეთთან. თბილისელთათვის ეს მეხუთე ცდა იყო. სამწუხაროდ, არაერთ მოულოდნელ სიძნელეს წაეყენებინ ჩვენი თანამემამულენი გადამწყვეტი მატჩის წინ — ტრავმები, აგადმყოფობა, ზოგიერთი მოთამაშის მწყობრიდან გამოსვლა...

ვერ ვიტყვით, რომ ბრძოლის პირველი ნუთები მაღალ ტემპში მიმდინარეობდა. მეტოქენი მიმართავდნენ გარკვეულ პრესინგს. საერთო ფონზე თბილისელთა თამაში უფრო დამაჯერებელი, მიზანშეწონილი იყო. ოთქმის ყველა ხაზი შეწყობილად მოქმედებდა, ვხედავდით ზუსტ გადაცემებს და კომბინაციებს, მაგრამ ყველაფერი ეს მეტწილად მოედნის ცენტრში ხდებოდა და იაშინის კარი დიდ საფრთხეს არ განიცდიდა. ასე გაგრძელდა ტაიმის მესამედი და აი მე-17 წუთში ჯარიმა ჩვენს კართან. ვერ ვიტყვით, რომ იგი მაღალ დონეზე იყო შესრულებული. ბურთი მოხვდა ცოცხალ კედელს და მარჯვენა ფლანგზე გადაინაცვლა. აქ კარგ ადგილზე აღმოჩნდა ეშმრეკოვი, ცხოვრებოვმაც ოდნავ შეაყოვნა. მოსკოველის დარტყმა არც ისე ძლიერი იყო, რომ ჯოლი გარდუვალი ყოფილიყო, მაგრამ მეკარე ურუშაძე, რომელიც ჩანს ძალზე ღელავდა, ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს.

ასეთ ვითარებას, როდესაც ინარჩუნებ გარკვეულ უპირატესობას და მოულოდნელად საკუთარ კარში მიიღებ ბურთს, ცხადია გარკვეული დაღის დასმა შეუძლია თამაშის მსვლელობაზე. მოსკოველებმა თანდათან უკეთ წარმართეს თამაში. ნაავადმყოფარი ცხოვრებოვი სულ უფრო ხშირად აგებდა ბრძოლას ეშმრეკოვთან და ამიტომაც მასპინძელთა შეტევა მეტწილად მარჯვენა ფლანგიდან ხორციელდებოდა. და მაინც ეს ანგარიში პირველ ნახევარში არ შეიცვლილა. ურუშაძემ ტაიმის მიწურულში ორი მეტად სახიფათო ბურთი მოიგერია.

სულ სხვა თამაშს მოწმენი ვიყავით მეორე ნახევარში. ტემპმა ბევრად იმატა, ბრძოლა უფრო გაშლილი და მრავალმხრივი გახდა. ფაქტიურად განმეორდა ის, რაც პირველ ნახევარში მდებოდა — თბილისელები ინარჩენებდნენ არა მარტო ტერიტორიულ უპირატესობას, არამედ გამოირჩეოდნენ ტექნიკითაც, გადაცემათა სიზუსტითაც, მაგრამ იაშინის კარის ამდენი არავინ აღმოჩნდა. ისევ მე-17 სამეფისწერო წუთი. დაცვის ოდნავი ყურადღების „მოდუნება და ევრიუეი-ხინმა მეორე ბურთი გიიტანა. არა, ამ შემთხვევაში უკვე ურუშაძე არაფერ შუაშია. ამის შემდეგ ოთხი წუთი არც კი იყო გასული, რომ პეტრაშვილის კარგი ჩაწოდების შემდეგ მოსკოველთა კარის წინ ერთბაშად სამი თბილისელი — გ. ნოდია, ჯიჯაშელი და ხინჩიგაშვილი (მან შეცვალა ცხოვრებოვი) აღმოჩნდნენ. ყველას დასწრო ხინჩიგაშვილმა და იაშინს უკვე აღარაფერი შეეძლო — საჯარიმოს ხაზიდან უღლიერესად და ლამაზად დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია.

ჩანს ამ გოლმა იმოქმედა იაშინზე. შემდეგში იგი ნერვიულობდა და რამდენიმე შეცდომა დაუშვა. უკანასკნელი წუთები თბილისელთა იერიშებით აღინიშნა, მაგრამ ანგარიში ძალადი დარჩა. მოსკოვის დინამოელებმა მეოთხეჯერ მოიპოვეს თასი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, მიუხედავად დამარცხებისა თბილისელებმა ეს მატჩი ძლიერად წაგებეს. ამჯერად მათ მართლაც რომ სპორტული ბედი არ წყალობდათ.

ვ. გაგელია,
„კომუნისტის" სპეც. კორ.
მოსკოვი.

... ...



... ...

... ...

... ...